



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N10**

ქ.ლანჩხუთი

20.10.2016 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველებს“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი მაკა სულაბერიძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილების უფროსი თამაზ იმედაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ დღევანდელ ბიუროს სხდომას საპატიო მიზეზით ვერ ესწრება გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია. ამიტომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს სხდომას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე. მან ასევე აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ორი საკითხი-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და ნუმერაციის წესში ცვლილება. სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული ცვლილება გათვალისწინებულიყო დღის წესრიგის პროექტში და იგი შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ბიჯის სიდიდის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი ნ. ცინცაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

5. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა მორიგი საკრებულოს სხდომის მოწვევის საკითხზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 28 ოქტომბერი, 10 საათი.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ბიჯის სიდიდის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის თანახმად ყოველი განმეორებითი აუქციონის ჩატარებისას, ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურს და სხვა პირობებს ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო. პროექტში წარმოდგენილია ქონებების ჩამონათვალი 15%-ით და 20%-ით შემცირებული საწყისი საპრივატიზებო საფასურის და ბიჯის სიდიდეების მითითებით:

1) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანას ქ N126-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე N11 ოთახი (ს/კ 27.06.51.005.01.514) საწყისი საპრივატიზებო საფასური-- 5328 ლარი: ბიჯი 1% - 53,28 ლარი.

- 2) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ N126-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე N12 ოთახი (ს/კ 27.06.51.005.01.515) საწყისი საპრივატიზებო საფასური--16396,8 ლარი: ბიჯი 1% - 163,9 ლარი.
- 3) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ N126-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე N14 ოთახი (ს/კ 27.06.51.005.01.517) საწყისი საპრივატიზებო საფასური--4377,6 ლარი: ბიჯი 1% - 43,7 ლარი.
- 4) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ N126-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე N15 ოთახი (ს/კ 27.06.51.005.01.518) საწყისი საპრივატიზებო საფასური-- 4377,6 ლარი: ბიჯი 1% - 43,7 ლარი.
- 5) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ N126-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე N16 ოთახი (ს/კ 27.06.51.005.01.519) საწყისი საპრივატიზებო საფასური--4377,6 ლარი: ბიჯი 1% - 43,7 ლარი.
- 6) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ N126-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე N17 ოთახი (ს/კ 27.06.51.005.01.520) საწყისი საპრივატიზებო საფასური--4377,6 ლარი: ბიჯი 1% - 43,7 ლარი.
- 7) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ N126-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე N18 ოთახი (ს/კ 27.06.51.005.01.521) საწყისი საპრივატიზებო საფასური--4377,6 ლარი: ბიჯი 1% - 43,7 ლარი. 8) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ N82-ის მიმდებარე არსებული თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.52.453) საწყისი საპრივატიზებო საფასური--11900 ლარი: ბიჯი 1% - 119 ლარი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, ხომ არ მოხერხდება ახალგაზრდული ცენტრისთვის გამოიძებნოს გარკვეული ფართი და დაინტერესდა, ამ მიზნით შეიძლება თუ არა გამოყენებულ იქნას ყოფილი კომისარიატის შენობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მოუწოდა დეპუტატებს, ერთობლივი წერილით მიმართონ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომ მუნიციპალიტეტს გადმოეცეს ყოფილი კომისარიატის შენობა, რათა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდეს თანხის გამოყოფა შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად და მასში განთავსდეს ახალგაზრდული ცენტრი. მისი აზრით, ასეთი ცენტრის გახსნით კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძე** დაინტერესდა, თუ რა ბედი ეწევა ქალაქის ცენტრში მდებარე რესტორნის შენობას, რომელიც იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და ამახინჯებს ქალაქის იერ-სახეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ არსებობს ინფორმაცია, ამ შენობით იუსტიციის სამინისტროს დაინტერესების შესახებ, რათა მასში განთავსდეს იუსტიციის სახლი.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურამ** განმარტა, რომ დღეისთვის აღნიშნული შენობის

მფლობელი არაა გარკვეული, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო დავა ფიზიკურ პირსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე რაიმე გადაწყვეტილების მიღება აღნიშნულ შენობასთან დაკავშირებით შეუძლებელია.

ამასთან, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურამ** აღნიშნა, რომ ყოფილი სასტუმროს შენობაში განთავსებულია მუნიციპალიტეტის რამდენიმე ა(ა)იპ-ი. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხა აღნიშნული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, რადგან იგი იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ბიჯის სიდიდის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება–მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა, გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში უნდა მოხდეს ცვლილება, რომელიც განპირობებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის გზით პრივატიზებული ობიექტების ამოღებით საპრივატიზაციო ნუსხიდან და გეგმიდან. კერძოდ, სოფელ ლესაში არსებული შენობა ნაგებობა ს/კ 27.10.44.224 და ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N126-ში ყოფილი სასტუმროს პირველ სართულზე მდებარე ოთახი N13 ს/კ 27.06.51.005.01.516) და ქ. ლანჩხუთში, ასევე ს.მგელამის ქ. N16-ში არსებული თავისუფალი მიწის ს/კ 27.06.48.013 (52 456 კვ.მ.) ხუთ ნაწილად დაყოფით - 10 235 კვ.მ. – 10 244 კვ.მ.- 10 043 კვ.მ - 10 038 კვ.მ. – 10 084 კვ.მ. დამატებით. ხოლო დანართი N1 და დანართი N2-ის სახით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო გეგმა წარმოდგენილი იქნება ქ.ლანჩხუთში ს. მგელამის ქ. N16-ში არსებული თავისუფალი მიწის ხუთ ნაწილად დაყოფის პროცესის დასრულების შემდგომ 24 ოქტომბერს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: ლანჩხუთის მუსნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუსნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ნუგზარ ცინცაძემ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 9 თვეში ბიუჯეტის შემოსულობებმა 12687859 ლარი შეადგინა, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის 81,6%-ს შეადგენს. აქედან შემოსავლები /კაპიტალურის ჩათვლით/ მიღებულია 2162526 ლარი, წლიური გეგმის 60,1%-ი, მ.შ. საშემოსავლო გადასახადი მიღებულია 404007 ლარი, გეგმის 62,2%-ი, ქონების გადასახადი შემოსულია 498782 ლარი, გეგმის 56,7%-ი. სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 649332 ლარი, წლიური გეგმის 47,5%-ი, მ.შ. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მიღებულია მხოლოდ 66749 ლარი, რაც წლიური გეგმის 12,1%-ია, აღნიშნულ სახეში შემოსავლის ზრდის მოლოდინი არ არის და სავარაუდოდ წელთან მიმართებაში გარღვევა დაფიქსირდება 450000 ლარი, ასევე ჯარიმები, სანქციებისა და საურავების გეგმა წელთან მიმართებაში შესრულებულია 70,2%-ით, გარღვევა სავარაუდოდ /წლის დარჩენილ პერიოდში შემოვა 150000 ლარამდე/ დაფიქსირდება 77800 ლარი. ასევე არ შესრულებულა ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის და გეგმის შესრულებას დააკლდება 5700 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმის შესრულება 87,2%-ს შეადგენს, გეგმის შესრულებას 60000 ლარი დააკლდება ანუ შემოსავლების წლიური გეგმის შესრულებას ჯამში დააკლდება 593500 ლარი.

- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით ჩამორიცხულია 10525333 ლარი, მ.შ. გათანაბრებითი ტრანსფერი 4589100 ლარი, წლიური გეგმის 86,7%-ი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 164700 ლარი, გეგმის 74,9%-ი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 2933145 ლარი, წლიურის 84,0%-ი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებისათვის 716486 ლარი, წლიურის 88,9%-ი; მუსნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციოდ გაიხარჯა 2121902 ლარი, წლიურის 98,8%-ი.

საანგარიშო პერიოდში გაწეულია 12638353 ლარის ხარჯი, წლიური გაწეული დაზუსტებული ხარჯების 71,7%-ი, შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1352234 ლარი, გაწეული მიმდინარე /არაფინანსური აქტივების გარეშე/ ხარჯების 19,4%-ი, შტატგარეშე მუშაკების ანაზღაურებაზე გაიხარჯა 101242 ლარი, ხარჯების 1,4%-ი, მივლინების ხარჯებმა 2854 ლარი შეადგინა, ოფისის ხარჯი 163472 ლარია, რაც ხარჯების 2,3%-ია, წარმომადგენლობითი ხარჯი 15503 ლარს შეადგენს /0,2%-ი/, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში მიიმართა /საფეხბურთო კლუბ გურიას დაფინანსების მიზნით/ გრანტის სახით 535113 ლარი, ხარჯების 7,7%-ი, შეძენილია სოც. კულტურული ღონისძიებების ხარჯიდან 4401 ლარის რბილი ინვენტარი, ხარჯის 0,06%-ი, ტრანსპორტისა და ექსპლუატაციის ხარჯებზე მიიმართა 86311 ლარი, ხარჯების 1,2%-ი.

სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯმა 214583 ლარი შეადგინა- ხარჯების 3,1%-ი, სუბსიდირების წესით ა(ა)იპ-ებს ჩაერიცხა 3526725 ლარი, ხარჯების 50,5%-ი, სოციალურ ღონისძიებებზე მიმართულია 240984 ლარი, ხარჯის 3,4%-ი, სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 75916 ლარი, ხარჯის 1,1%-ი, 2933145 ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა- რეაბილიტაციისათვის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 716486 ლარი, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 2121902.

წლის დარჩენილ პერიოდში ბიუჯეტში არსებული დეფიციტის შემცირების მიზნით აღებული ვალდებულებების მაქსიმალურად დაფინანსების უზრუნველყოფის მისაღწევად უნდა გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები-შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვით მიღწეული უნდა იქნას: არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადასახადის მაქსიმალური მობილიზების უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის მობილიზება გეგმის შესრულებაში გარღვევის მაქსიმალური შემცირების მიზნით, ადგილობრივი რესურსების მიწის და სხვა ძირითადი აქტივების რეალიზაციის შედეგად გეგმის შესრულების დეფიციტის მაქსიმალურად შემცირება. ამასთან, დარჩენილ პერიოდში გასაწევი მიმდინარე ხარჯების 15%-მდე შემცირება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ არაფინანსური აქტივების კლება შესრულებულია 87,2%-ით და სავარაუდოდ წლის ბოლომდე შეივსება. სამაგიეროდ, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის შესრულებულია 12,1%-ით, რაც დეპუტატის აზრით გამოწვეულია იმით, რომ ავტობანის მშენებლობაზე არ მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვებული ინერტული მასალების გატანა. გათვლებით დადგინდა, რომ იმ ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც გაცემულია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მთელი წლის განმავლობაში უნდა შემოსულიყო 200 000 ლარამდე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ფირმა, რომელზეც გაიცა ლიცენზია, მიუხედავად იმისა, მოიპოვებს თუ არა ინერტულ მასალებს, ვალდებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოიტანოს შესაბამისი თანხა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, თანხა გადანაწილებულია წლების მიხედვით. ლიცენზიის მფლობელ ფირმებს წლის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა შემოეტანა 194 000 ლარი. შემოვიდა 66 749, 27 ლარი. სავარაუდოდ წლის ბოლომდე შემოვა ალბათ დარჩენილი თანხაც.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ის ვალდებულებები, რომლებიც გუნდს ჰქონდა აღებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ სასურველი იქნება მომავალ საკრებულოს სხდომამდე დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად კონსულტაციები გაიარონ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში. ამასთან, ბიუროს წევრებმა მოუწოდეს აღმასრულებელ ორგანოს ხელმძღვანელობას და საკრებულოს შესაბამის კომისიას, რომ მაქსიმუმი გააკეთონ 2016 წლის ბიუჯეტის შესასრულებლად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ნუმერაციის პროცესი ერთიან სამართლებრივ ჭრილში მოექცა. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ადგილობრივი თვითმმართველობების ნაცვლად, განახორციელებს გეოგრაფიული ობიექტებისთვის სამისამართო ნუმერაციის მინიჭებას, ამიტომ საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებაში ცვლილებების განხორციელება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

განსახილველად შევიდეს 2016 წლის 28 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ ღრმადელის მაჟორიტარ დეპუტატთან შეთანხმებით წარმოადგინა გრიგოლეთის და წყალწმინდის სანაპირო ზოლის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ აღნიშნული პროგრამა განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე. ამასთან, დეპუტატმა გულისტკივილი გამოთქვა საკრებულოში ინტერნეტ-ქსელის გაუმართაობის გამო, რითაც ფერხდება სამუშაო პროცესი და მოითხოვა აღნიშნული პრობლემის დროული მოგვარება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო